ბრძანება:**ბ12. 1224065001**

თარიღი:**05/03/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2025 წლის პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით გენდერული ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2025 წლის პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას გენდერული ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა. ირაკლი ლაზარაშვილი-ჯგუფის ხელმძღვანელი, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი;

ბ. ილია ზარდიაშვილი-ჯგუფის თანათავმჯდომარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

გ. ვაჟა გაჩეჩილაძე-ჯგუფის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

დ. რუბენ კარაპეტიანი-ჯგუფის წევრი,ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ე. გელა ლომიძე-ჯგუფის კოორდინატორი,პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი;

ვ. მანანა კაპერსკაია - ჯგუფის წევრი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საბიუჯეტო განყოფილეობის ხელმძღვანელი;

ზ. ვახტანგი თაქთაქიძე-ჯგუფის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ფინანსური კონსულტანტი;

თ. ევა იველაშვილი-ჯგუფის წევრი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი;

ი. ალექსანდრე მელიქიძე-ჯგუფის წევრი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი;

კ. გიორგი თედორაძე-ჯგუფის წევრი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი;

ლ. ქეთევან მიშველიძე-ჯგუფის წევრი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი;

მ. ვლადიმერ კურტანიძე-ჯგუფის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

ნ. ანზორი საგინაძე-ჯგუფის წევრი, ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირების“ დირექტორი;

ო. მარინა მერაბიშვილი-ჯგუფის წევრი, ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების“ დირექტორი;

პ. გრიგოლი ღავთაძე-ჯგუფის წევრი, ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფის“ დირექტორი;

ჟ. გიორგი ჟუჟუნაძე-ჯგუფის წევრი, ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულების გაერთიანების“ დირექტორი;

რ. ირმა დავლაშერიძე-ჯგუფის წევრი, ა(ა)იპ „სკოლის გარეშე საგანმანათლებლო სახელოვნებო დაწესებულება-ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ დირექტორი;

ს. ლელა ფერაძე-ჯგუფის წევრი, ა(ა)იპ „სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქალაქ ახალციხის სამხატვრო სკოლის“ დირექტორი;

ტ. ზიზიგმუნდ ზილბერშტეინი-ჯგუფის წევრი, ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების დირექტორი;

უ. ზაზა თამარაშვილი-ჯგუფის წევრი, ა(აი) „ახალციხის ციხის“ დირექტორი;

ფ. დავით მუმლაძე-ჯგუფის წევრი, ა(ა)იპ „სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ დირექტორი;

ქ. თორნიკე ხმალაძე-ჯგუფის წევრი, ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტის“ დირექტორი;

ღ. ვერა ბარძიმაძე-ჯგუფის წევრი, ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ დირექტორი;

2.დაევალოს სამუშაო ჯგუფს, აქტიურად ითანამშრომლოს GIZ-ის პროგრამის ფარგლებში - „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ კონსულტანტთან;

3.სამუშაო ჯგუფმა GIZ-ის პროგრამის კონსულტანტთან თანამშრომლობით, შეარჩიოს ახალციხის ბიუჯეტის საპილოტე პროგრამები/ქვეპროგრამები, რომელთა მომზადებისა და განხორციელების დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები;

4.სამუშაო ჯგუფს დაევალოს ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის მომზადების პროცესში საპილოტე პროგრამებსა და ქვეპროგრამებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი;

5.სამუშაო ჯგუფმა შეარჩიოს ახალციხის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის საპილოტე პროგრამები/ქვეპროგრამები, რომელთა მომზადებისა და განხორციელების დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები;

6.სტრუქტურულმა ერთეულებმა და საბიუჯეტო ორგანიზაციებმა მოამზადონ სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული საპილოტე პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი;

7.სამუშაო ჯგუფმა განიხილოს პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზის შედეგები და საჭიროების გათვალისწინებით მოამზადოს რეკომენდაციები;

8.პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზის შედეგებისა და სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა და საბიუჯეტო ორგანიზაციებმა უზუნველყონ გენდერული ასპექტების გათვალისწინებით საპილოტე პროგრამების/ქვეპროგრამების მომზადება და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისთვის წარდგენა;

9.საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მომზადებული საპილოტე პროგრამების/ქვეპროგრამების ასახვა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2025 წლის პროგრამულ ბიუჯეტში;

10.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

11.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, კ.მებაღიშვილის ქ. #60ა).

ირაკლი ლაზარაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი